მოწყობილობის დანიშნულება

ვენტილატორი განკუთვნილია შენობების ვენტილაციისთვის.

უსაფრთხოების ზომები

- კვების წყაროსთან დაკავშირებამდე დარწმუნდით, რომ ელექტროქსელის ძაბვა შეესაბამება მის ტექნიკურ მახასიათებლებს. შეაერთეთ მოწყობილობა მხოლოდ **დამიწებულ** როზეტში.
- გამოიყენეთ მოწყობილობა მხოლოდ შენობის შიგნით.
- ელექტროშოკის თავიდან ასაცილებლად, არ ჩადოთ მოწყობილობა ან კვების კაბელი წყალში ან სხვა სითხეში, ასევე არ დაუშვათ მოწყობილობასა და კაბელზე ტენის მოხვედრა. არ შეეხოთ მოწყობილობას სველი ხელებით.
- არ სცადოთ მოწყობილობის დამოუკიდებლად დაშლა შეკეთების მიზნით. ნებისმიერი დაზიანების ან მუშაობის შეფერხების აღმოჩენისას, დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ მისი ექსპლუატაცია და მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- ნუ განათავსებთ მოწყობილობას სითბოს წყაროებთან (გამათბობლები, რადიატორები და ა.შ.) ახლოს, ასევე იმ ადგილებში, სადაც მასზე იმოქმედებს მზის პირდაპირი სხივები.
- მოათავსეთ მოწყობილობა მხოლოდ მშრალ და სწორ ზედაპირებზე.
- არ დაქაჩოთ და არ გადაადგილოთ მოწყობილობა კვების კაბელით. არ მოხაროთ და არ დაახვიოთ კაბელი მოწყობილობის გარშემო, ასევე თვალი ადევნეთ, რომ იგი არ ეხებოდეს ცხელ ზედაპირებს.
- მოწყობილობის გადახურების თავიდან ასაცილებლად, არაფრით დაფაროთ სავენტილაციო ხვრელები. არაფერი ჩამოკიდოთ ვენტილატორზე მუშაობის პროცესში.
- არ ჩადოთ არანაირი საგანი დამცავი ცხაურის ხვრელებში მაშინაც კი, როდესაც ვენტილატორი გამორთულია. მოარიდეთ მომუშავე მოწყობილობას თმა, ტანსაცმელი, ფარდები და ა.შ., რათა თავიდან აიცილოთ მათი მოხვედრა შიდა მოძრავ ნაწილებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დაზიანება ან ტრავმა.
- ნუ განათავსებთ მომუშავე მოწყობილობას ადვილად აალებადი სითხეების გვერდით ან იმ შენობებში, სადაც შესაძლებელია აალებადი აირების გაჟონვა.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა, თუ კვების კაბელი ან ჩანგალი დაზიანებულია. კაბელის შესაცვლელად მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- გამორთეთ მოწყობილობა და გამოსთიშეთ იგი კვების ქსელიდან, თუ მას არ იყენებთ, ასევე მისი გაწმენდის, გადაადგილების, აწყობის ან დაშლის დროს.
- ვენტილატორის გამოსართავად დააჭირეთ კვების ღილაკს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიღეთ ჩანგალი როზეტიდან. არ დაქაჩოთ კაბელი, ხელი მოჰკიდეთ უშუალოდ ჩანგალს.
- გამოიყენეთ ვენტილატორი მხოლოდ ვერტიკალურ მდგომარეობაში.
- არასოდეს გამოიყენოთ ვენტილატორი სადგამი საფუძვლის (ძირის) და/ან სხვა ნაწილების გარეშე, რომლებიც სწორად უნდა იყოს დამონტაჟებული მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად.
- არ დააჭიროთ ძალის გამოყენებით მართვის პანელის ღილაკებს, რათა თავიდან აიცილოთ მისი დაზიანება.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. თვალი ადევნეთ, რომ ბავშვებმა არ ითამაშონ მოწყობილობით.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.